აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის საქმიანობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

(01.09.2015-დან - 01.09.2016-მდე)

2016 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის საქმიანობის ანგარიში (01.09.2015-დან - 01.09.2016-მდე)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია თავის საქმიანობას წარმართავს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტისა და კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლება-მოვალეობათა ფარგლებში.

უმაღლესი საბჭოს მიერ საანგარიშო პერიოდში მიღებული საკანონმდებლო აქტები, რომლებიც კომისიის (კომისიის წევრების) მიერ იქნა ინიცირებული

1. **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.** კანონპროექტის ინიციატორია: საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია.

კანონპროექტის მომზადებისა და მიღების მიზეზი იყო „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში და პატიმრობის კოდექსში შეტანილი ცვლილებები, ასევე „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ და „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონების მიღება. კერძოდ:

– „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებით საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გამოეყო და ცალკე საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბდა იურიდიული დახმარების სამსახური და შესაბამისად შეიცვალა სამინისტროს დასახელებაც, ამავე ცვლილებით გათვალისწინებულია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანა კანონთან შესაბამისობის მიზნით;

– პატიმრობის კოდექსში შეტანილი ცვლილებითა და ახალი კანონის „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ მიღებით განისაზღვრა, რომ 2015 წლის 1 ივლისიდან პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის უშუალოდ აღმასრულებელი ორგანო არის პენიტენციური დაწესებულება;

– „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით 2015 წლის 1 აგვისტოდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურიდან მოხდა უსაფრთხოების სამსახურის კომპონენტის გამოყოფა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ცალკე სტრუქტურად ჩამოყალიბება.

კანონში შეტანილი ცვლილებებით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი შესაბამისობაში იქნა მოყვანილი საქართველოს შესაბამის საკანონმდებლო აქტებთან.

(მიღებულია: 27.12.2015. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 31.12.2015.)

2. **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ.** კანონპროექტის ინიციატორია: საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია.

რეგლამენტის პროექტის მიღების მიზანი იყო, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, საკანონმდებლო აქტით – უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით საჯარო სამსახურის საბჭოში უმაღლესი საბჭოს კვოტით წარსადგენი წევრის არჩევისა და უფლებამოსილების შეწყვეტის წესის განსაზღვრა, ასევე პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა და ამ მიზნით რეგლამენტის რამდენიმე მუხლში ცვლილების განხორციელება.

რეგლამენტში შეტანილი ცვლილებებით დეტალურად გაიწერა საჯარო სამსახურის საბჭოში უმაღლესი საბჭოს კვოტით წევრის არჩევის პროცედურები და წესი.

განხორციელებული ცვლილებით რეგლამენტის 74–ე მუხლის მე–2 პუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის შესაბამისად, ფარული კენჭისყრის ბიულეტენების შევსებისას უმაღლესი საბჭოს წევრი გადახაზავს მისთვის არასასურველი კანდიდატის სახელს და გვარს და დატოვებს მხოლოდ იმ კანდიდატის სახელს და გვარს, რომელსაც მხარს უჭერს. თუ ბიულეტენში მხოლოდ ერთი კანდიდატის სახელი და გვარია შეტანილი, მისთვის ხმის მიცემა გამოიხატება სახელისა და გვარის შემოხაზვით, ხოლო მიუცემლობა - გადახაზვით.

ცვლილება შევიდა ასევე რეგლამენტის 74[1] მუხლში, რომლის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს წევრებს განცხადებების გაკეთების უფლება ეძლევათ უმაღლესი საბჭოს ნებისმიერ სხდომაზე.

(მიღებულია: 16.06.2016. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 20.06.2016.)

3. **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე და მისგან გამომდინარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ.** კანონპროექტის ინიციატორია: საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის წევრი – ირაკლი ჯაში.

კანონპროექტის მომზადებისა და მიღების მიზეზი იყო უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებასთან (დაუმტკიცებლობასთან) დაკავშირებით კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები. განხორციელებული ცვლილებებით უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების ვადები შესაბამისობაში იქნა მოყვანილი საბიუჯეტო პროცესის ზოგად ვადებთან. კერძოდ, უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტის ფორმირებას და მთავრობისათვის წარდგენას უზრუნველყოფს უმაღლესი საბჭო, არა უგვიანეს 1 ივნისისა. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტი მტკიცდება უმაღლესი საბჭოს სხდომაზე, დადგენილებით. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტში უმაღლესი საბჭოსათვის გათვალისწინებული ასიგნებების ჯამური მოცულობის შემცირება შეიძლება მხოლოდ უმაღლესი საბჭოს წინასწარი თანხმობით. კანონითა და უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებულ ვადაში დადგენილების მიუღებლობის შემთხვევაში, მთავრობის თავმჯდომარის მიერ უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილი მორიგი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტში უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტი განისაზღვრება უმაღლესი საბჭოსათვის მიმდინარე წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების შესაბამისად.

(მიღებულია: 24.12.2015. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 31.12.2015.)

4. **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.** კანონპროექტის ინიციატორია: საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის წევრი – ირაკლი ჯაში.

წარმოდგენილი კანონპროექტის შემუშავება ერთის მხრივ განპირობებული იყო ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით აღებული იმ ვალდებულების შესრულების აუცილებლობით, რომელიც გულისხმობს საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანის დროს საქონლის წარმოშობის სერთიფიკატის გაცემას მხოლოდ საბაჟო ორგანოს მიერ და რომლის შესაბამისადაც წარმოშობის სერტიფიკატის გაცემას უზრუნველყოფს მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შემოსავლების სამსახური. მეორეს მხრივ, კანონპროექტის შემუშავება განპირობებული იყო საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ საქართველოს კანონში 2015 წლის 27 ოქტომბერს განხორციელებული ცვლილებით, რომლის შესაბამისად, პალატა ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ ნებაყოფლობით წარდგენილი განაცხადის საფუძველზე აღარ ახორციელებს „ევრო-1“ სერტიფიკატის გაცემას ან/და დამოწმებას. ამავე კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობით ორგანოს უნდა უზრუნველეყო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობა.

კანონში შეტანილი ცვლილების მიხედვით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა აღარ ახორციელებს „ევრო-1“ სერტიფიკატის გაცემას ან/და დამოწმებას და იგი საჭიროების შემთხვევაში გაიცემა საქონლის საქართველოს ტერიტორიიდან გატანის დროს საქართველოს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

(მიღებულია: 24.12.2015. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 04.01.2016.)

5. **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.** კანონპროექტის ინიციატორია: საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის წევრი – მერაბ აბაშიძე.

კანონპროექტის მიზანი იყო მაჟორიტარული სისტემით, ერთმანდატიანი საარჩევნო ოქლების მიხედვით უმაღლესი საბჭოს წევრების არჩეულად ცნობის ისეთი წესის დადგენა, რომელიც უზრუნველყოფს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა უმრავლესობის ნების გამოხატვას.

კანონში შეტანილი ცვლილებით, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით, ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქის მიხედვით უმაღლესი საბჭოს წევრად არჩეულად ჩაითვლება უმაღლესი საბჭოს წევრობის ის კანდიდატი, რომელიც არჩევნების პირველ ტურში მიიღებს არჩევნებში მონაწილეთა ნახევარზე მეტის ხმებს.

(მიღებულია: 16.06.2016. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 23.06.2016.)

6. **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.** კანონპროექტის ინიციატორია: საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე – ალექსანდრე ჩიტიშვილი.

კანონპროექტის მიზანი იყო, ერთის მხრივ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

კანონის შესაბამისობაში მოყვანა არსებულ რეალობასთან, ხოლო მეორეს მხრივ – საარჩევნო პერიოდში უსკოს გამართული საქმიანობისათვის ხელის შეწყობა.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებდა, რომ თუ ერთდროულად ტარდებოდა საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული საერთო და უმაღლესი საბჭოს არჩევნები, საარჩევნო ოლქები, მათი საზღვრები, სახელწოდებები და ნომრები შეესაბამება საქართველოს საარჩევნო კოდექსით განსაზღვრულ საერთო არჩევნებისათვის ცესკოს მიერ შექმნილ ოლქებს.

კანონში არსებული ზემოაღნიშნული ჩანაწერი ქმნიდა პრობლემას, ვინაიდან საქართველოს საარჩევნო კოდექსი ცალკეულ საარჩევნო ოლქებს ქმნიდა კანონით, ხოლო ცალკეული ოლქების შექმნის უფლებამოსილებას ცესკოს ანიჭებდა.

კანონში შეტანილი ცვლილებით განისაზღვრა, რომ თუ ერთდროულად ტარდება საქართველოს საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული საერთო და უმაღლესი საბჭოს არჩევნები, მაჟორიტარული საარჩევნო ოლქები, მათი საზღვრები და ნომრები შეესაბამება საერთო არჩევნებისათვის საქართველოს საარჩევნო კოდექსით და ცესკოს მიერ შექმნილ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებს.

(მიღებულია: 26.08.2016. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 31.08.2016.)

7. **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.** კანონპროექტის ინიციატორებია: საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თემურ კახიძე და ამავე კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე ჩიტიშვილი.

კანონპროექტის მიღების მიზანს წარმოადგენდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების შეუფერხებლად გამართვა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში არსებული ხარვეზების გასწორება. ასევე ბუნდოვანი და ორაზროვანი ნორმების დაკონკრეტება.

კანონპროექტის მიზანს ასევე წარმოადგენდა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისობა საქართველოს საარჩევნო კოდექსში 2016 წლის ივნისში განხორციელებულ ცვლილებებთან.

კანონით უსკოს მიეცა შესაძლებლობა, გასცეს დანამატები საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებზე, განსაზღვროს უსკოს წარმომადგენლების არჩევისა და უფლებამოსილების ფარგლები, დაადგინოს მხარდამჭერთა სიების შევსებისა და შემოწმების დამატებით წესი, დააზუსტოს საარჩევნო ოლქებისა და უბნების შექმნის წესი. დააზუსტოს და დახვეწოს საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის რეგულირება, დაადგინოს ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაციის, რეგისტრაციაზე უარის თქმისა და რეგისტრაციის გაუქმების წესები და საფუძვლები.

მიღებული საკანონმდებლო აქტით ასევე დარეგულირდა გამონაკლის შემთხვევებში საარჩევნო უბნის შექმნის წესი და სპეციალური სიის ფორმირებსთან დაკავშირებული რეგულაციები.

ასევე დარეგულირდება მეორე ტურის გამართვის პერიოდი და წესი. ასევე საბოლოო შემაჯამებელი ოქმის შედგენის დრო და წესი. ცვლილება განიცადა ასევე კანონის იმ მუხლმა, რომელიც საუბნო საარჩევნო კომისიის/კომისიის ხელმძღვანელი პირის გადაწყვეტილებების გასაჩივრების ვადებს განსაზღვრავდა და იგი შესაბამისობაში მოვიდა საარჩევნო კოდექსით დადგენილ ვადებთან.

(მიღებულია: 26.08.2016. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 31.08.2016.)

უმაღლესი საბჭოს მიერ საანგარიშო პერიოდში საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში განსახილველად წარდგენილი კანონპროექტები, რომლებიც კომისიის (კომისიის წევრების) მიერ არის მომზადებული

1. საქართველოს კანონის პროექტი - „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ". (კანონპროექტის ავტორია - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია)

კანონპროექტის მომზადებისა და პარლამენტში მისი ინიცირების მიზეზი იყო ერთის მხრივ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ვადის შესაბამისობაში მოყვანა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებთან, ხოლო მეორეს მხრივ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ რესპუბლიკური ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობისათვის მაქსიმალური ვადის გაზრდა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენა ხდება საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 3 თვისა. იგივე ვადა არის განსაზღვრული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 152-ე მუხლის მე-4 პუნქტით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის წლიური ანგარიშის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის წარსადგენად. აღნიშნული საკანონმდებლო აქტებისაგან განსხვავებით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილი ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენას ითვალისწინებდა საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 2 თვისა.

კოდექსში შეტანილი ცვლილებით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ვადა შესაბამისობაში იქნა მოყვანილი აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებთან, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ რესპუბლიკური ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობისათვის მაქსიმალურ ვადად განისაზღვრა შესაბამისი წარმომადგენლობითი ორგანოს საგაზაფხულო სესიის ბოლომდე პერიოდი.

კანონპროექტი, საქართველოს პარლამენტის კომიტეტების და პლენარულ სხდომებზე წარადგინა საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ თემურ კახიძემ.

საკანონმდებლო ინიციატივა საქართველოს პარლამენტის მიერ სრულად იქნა მხარდაჭერილი. *(მიღებულია: 13.04.2016. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 26.04.2016.)*

2. საქართველოს კანონის პროექტი - „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ". (კანონპროექტის ავტორია - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია)

კანონპროექტის მომზადებისა და მისი პარლამენტში ინიცირების მიზანი იყო, შესაბამისი საკანონმდებლო გარანტიის დაწესებით ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ეფექტური განხორციელებისათვის ხელის შეწყობა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომელთაც მოწმედ დაკითხვისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულება არ ეკისრება. აღნიშნულ პირთა ჩამონათვალში არ იყო გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი, მაშინ როდესაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლესი საბჭოს წევრს უფლება აქვს ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც უმაღლესი საბჭოს წევრს. მიუხედავად იმისა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია საქართველოს ორგანული კანონით დამტკიცებული საკანონმდებლო აქტია და იერარქიულად უფრო მაღლა მდგომი იურიდიული დოკუმენტია ვიდრე კანონი, მიზანშეწონილად ჩითვალა, რომ სპეციალურ კანონში მომხდარიყო შესაბამისი ნორმის დამატება.

კოდექსში შეტანილი ცვლილებით, 50-ე მუხლის პირველ ნაწილში დაემატა, რომ მოწმედ დაკითხვისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულება არ ეკისრება ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრს – იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს წევრს.

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრისთვის აღნიშნული უფლების არსებობა აუცილებლობას წარმოადგენს, რათა შენარჩუნებული იქნას მათი სანდოობის მაღალი ხარისხი, ასევე იგი უზრუნველყოფს მოქალაქის მიმართვაზე კონფიდენციალობის პრინციპის დაცვას, რაც გაზრდის ასეთ მიმართვიანობას.

კანონპროექტი, საქართველოს პარლამენტის კომიტეტების და პლენარულ სხდომებზე წარადგინა საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ თემურ კახიძემ.

საკანონმდებლო ინიციატივა საქართველოს პარლამენტის მიერ სრულად იქნა მხარდაჭერილი. *(მიღებულია: 13.04.2016. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 26.04.2016.)*

3. საქართველოს კანონის პროექტი - „ლობისტური საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. (კანონპროექტის ავტორია - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია)

კანონპროექტის მომზადება და მისი პარლამენტში წარდგენა გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ „ლობისტური საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებთან მიმართებაში არსებობდა ვაკუუმი.

კანონში შეტანილი ცვლილებით, კანონში აღნიშნული ვაკუუმი შევსებული იქნა. კერძოდ, კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში „წარმომადგენლობით ორგანოს“ განმარტება საქართველოს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს გარდა ასევე მოიცავს „ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს“.

ცვლილება შეეხო კანონის მე-5, მე-9 და მე-13 მუხლებს, რომლებიც გაიწერა ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში ლობისტის საქმიანობასთან და ლობისტის მიერ წარდგენილ ანგარიშთან დაკავშირებულ ტექნიკურ და პროცედურულ საკითხები.

კანონპროექტი, საქართველოს პარლამენტის კომიტეტების და პლენარულ სხდომებზე წარადგინა საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ თემურ კახიძემ.

საკანონმდებლო ინიციატივა საქართველოს პარლამენტის მიერ სრულად იქნა მხარდაჭერილი. *(მიღებულია: 27.04.2016. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 13.05.2016.)*

4. საქართველოს ორგანული კანონის პროექტი - „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. (კანონპროექტის ავტორია - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია)

აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივის მიზანი იყო ორგანულ კანონში არსებული ერთგვარი სამართლებრივი ვაკუუმის შევსება. კერძოდ, ვინაიდან მოქმედი კანონი არ ითვალისწინებდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხის განსჯადობასთან დაკავშირებით მკაფიო რეგულაციას, პროექტით განსაზღვრული იყო, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხის განხილვას მოახდენდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი. მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი საბჭოს მიერ პარლამენტში ინიცირებულ საქართველოს ორგანული კანონის პროექტს 2016 წლის 4 მარტის პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით კენჭისყრისას დააკლდა 1 ხმა (75 მომხრე, არც ერთი წინააღმდეგი), კანონპროექტით გათვალისწინებული საკითხი სრულად დარეგულირდა საქართველოს პარლამენტის მიერ 2016 წლის 3 ივნისს მიღებული საქართველოს ორგანული კანონის პროექტით „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", რომლის შესაბამისად, არჩევნების მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე საქართველოში ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების (მათ შორის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების) კონსტიტუციურობის საკითხის განხილვას მოახდენს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი. აღნიშნული ცვლილება 2016 წლის 4 ივნისს ხელმოწერილი და გამოქვეყნებული იქნა საქართველოს პრეზიდენტის მიერ.

5. საქართველოს კანონის პროექტი - „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. კანონპროექტის ავტორია: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის წევრი პეტრე ზამბახიძე.

საკანონმდებლო ინიციატივის მომზადება გამოწვეულია ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლით, რის გამოც გაიზარდა საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ხარჯები. აღნიშნულიდან გამომდინარე კანონპროექტით გათვალისწინებულია საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დაფინანსებისათვის კანონით დაწესებული საპროცენტო განაკვეთის გაზრდა, რომლითაც მოხდება პროგრამული პრიორიტეტების დაფინანსება, ტექნიკური გადაიარაღება, ჟურნალისტთა და ტექნიკური პერსონალის ზეგანაკვეთური მუშაობის ანაზღაურება. კერძოდ, კანონპროექტი ითვალისწინებს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ბიუჯეტი უნდა იყოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის არანაკლებ 17%, ნაცვლად დღეს არსებული 15%-სა.

კანონპროექტი განხილვის პროცესშია საქართველოს პარლამენტში.

როგორც წამყვანმა კომისიამ, უმაღლესი საბჭოს სხდომაზე განსახილველად მოამზადა შემდეგი საკანონმდებლო აქტების პროექტები:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. **(ინიციატორი: საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია)**
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. **(ინიციატორები: გიორგი მასალკინი და მერაბ აბაშიძე)**
3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. ***(ინიციატორი: მერაბ აბაშიძე)***
4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. ***(ინიციატორები: თემურ კახიძე და პეტრე ზამბახიძე)***
5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. ***(ინიციატორი: ალექსანდრე ჩიტიშვილი)***
6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის თაობაზე“. ***(ინიციატორი: ანზორ თხილაიშვილი)***
7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. ***(ინიციატორები: ალექსანდრე ჩიტიშვილი და თემურ კახიძე)***
8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის თაობაზე“. **(ინიციატორი: საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია)**
9. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. **(ინიციატორი: ირაკლი ჯაში)**

საკადრო და პერსონალურ საკითხებთან დაკავშირებით კომისიის მიერ მომზადებული და უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულია 8 დადგენილება. მათ შორის: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისა და მთავრობის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და წევრის არჩევის შესახებ; უმაღლესი საბჭოს კომისიების შემადგენლობის არჩევისა და უმაღლესი საბჭოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ.

უმაღლესი საბჭოს მიერ თანამდებობის პირების არჩევასთან (დამტკიცებასთან) დაკავშირებული გადაწყვეტილებები მიღებულია ფარული კენჭისყრით, ხოლო ფარული კენჭისყრის პროცედურები ჩატარებულია კომისიის მიერ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით განსაზღვრული პროცედურების დაცვით.

კომისიის მიერ რეგლამენტით განსაზღვრული წესის შესაბამისად, განხილულ იქნა უმაღლეს საბჭოში 1 ახალი ფრაქციის რეგისტრაციის საკითხი და შესაბამისი დასკვნა გაგზავნილი იქნა უმაღლესი საბჭოს ბიუროსათვის.

კომისიის მიერ შემოწმებული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების თაობაზე უმაღლესი საბჭოს არანაკლებ ერთი მესამედის ხელმოწერების ნამდვილობა.

კომისიის მიერ განხილულ იქნა მოქალაქე ელდარ შავიშვილის საკანონმდებლო წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

საბიუჯეტო პროცესი

საანგარიშო პერიოდში კომისიის მიერ განხილულ იქნა:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი.
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“.
3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ წარმოდგენილი კვარტალური მიმოხილვები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

სტატისტიკური მონაცემები საანგარიშო პერიოდში კომისიის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ

საკანონმდებლო საქმიანობის სტატისტიკა

უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები	მათ შორის კომისიის მიერ ინიცირებული (მომზადებული)
26	14

კომისიის სხდომების სტატისტიკა

სხდომების რაოდენობა	განხილული საკითხი	მიღებული დასკვნა
23	59	36
შენიშვნა:	საანგარიშო პერიოდში კომისიის მიერ ჩატარებულია 1 გასვლითი სხდომა ქალაქ ბათუმში დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში.	

კომისიაში შემოსული და კომისიიდან გასული კორესპონდენციის სტატისტიკა

შემოსული კორესპონდენცია	გასული კორესპონდეცია
389	171

კომისიის წევრების მიერ მოქალაქეთა მიღების სტატისტიკა

მიღებულ მოქალაქეთა რაოდენობა	
368	
შენიშვნა:	მოქალაქეთა მიღების სტატისტიკა მომზადებულია საქმისწარმოების განყოფილების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით